**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 265 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 265

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმიერ-კასპიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განხცადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაურია სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.



**დაიბეჭდა და დარიგდება გასასყიდად ყველგან**

## საყოველთაო სურათებიანი კალენდარი

შედგენილი **კ. თავართქილაძის-მიერ**

კალენდარში მრავალი საკალენდრო ცნობათა განყოფილების გარდა, მოთავსებულია ვრცელი სამეცნიერო და სალიტერატურო განყოფილება. კალენდარი შეიცავს 256 გვერდს და ჰღირს 20 კაპ. პარტიით მყიდველს დაეთმობა 40%.

**იბეჭდება და ამ თვის დამლევს გამოვა ამავე ავტორის**

## სურათებიანი კედლის კალენდარი,

შევსებული მრავლ სასარგებლო ცნობებითა და წერილებით, მშვენივრად, ფერადის წამლებით დაბეჭდილს კარდონზედ (რუსეთშია მომზადებული). ფასი 40 კაპ. პარტიობით მყიდველს დაეთმობა 40%.

**ადრესი**: ტფილისი, კ. თავართქილაძე. (6—5).

ვისაც უნდა დაიკვეთოს 1905 წ.

## კალენდარი (სათვეო)

„ცოდნა“

**მიჰმართონ სოსიკო მერკვილაძეს.**

✦ კალენდარი ჰღირს ორ შაურად ✦

ვინც ერბაშად ასს ცალზე მეტს იყიდის, კალენდარი დაეთმობა **ექვს-ექვს კაპეიკად.**

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, № 12.

ფოსტით: მისამართი Тифлисъ Книжный магазинъ „ЦОДНА“.

(10—10).

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

## ლ. დ. დონსკოისა

პარასკევს, 19 ნოემბერს,

მე-6 «გალა» წარმოდგენა.

წარმოდგენილი იქნება

I

## ალეკო

ოპერა 1 მოქმ., მუს. რახმანინოვისა.

II

## პაიაცები

ოპერა 2 მოქმ., მუსიკა ლეონკოვალლოსი.

III

## M-lle ფიფი

ოპერა 1 მოქმედ., მუსიკა ც. კიუისა.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ვიკშემსკისა, ნიკიტსკაია, ორელი, მიხაილოვისა, შიხუცკაია-მინჩენკო, ხარიტონოვისა და სხვ.; ბ-ნნი ბოგდანოვიჩი, სიკაჩინსკი, კომაროვი, ობრაზცოვი, პოლუიანოვი, გალეცკი, დემიანენკო, პორუბინოვსკი, სპერანსკი, ბაგროვი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჯიოვასსი.** პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია.**

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი.

კაპელმეისტერები: ან. ეიხენვალდი. ნ. მიკლაშევსკი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

შაბათს, 20 ნოემბერს, წარმოდგენა არ გაიმართება.

კვირას, 21 ნოემბერს,

იქმნება ორი წარმოდგენა, დილით იაფფასიანი წარმოდგენა.

წარმოდგენილი იქმნება

## ქუზნ ზა ცარია

საღამოთი, საიმპერატ. თეატრის არტისტის ქ-ნ ეიხენვალდის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

## ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ., მუს. ჩაიკოვსკისა.

ორშაბათს, 22 ნოემბერს,

მ. ს. პროკოპოვიჩისა და ვ. ი. ლაზარევის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება

## პიკოვაია დამა

ოპერა 3 მოქმ. 7 სურ., მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **«მანდარინის შვილი»**, ც. კიუისა და **«მანონი»**, მუსიკა მასსენესი.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. აპეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კკრაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**საღამოობით:**

**ვ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 5 7 საათ.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. 9—с.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა, № 5

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დოროსმელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.


ტფილისი, 19 ნოემბერი.

ამ ჟამად ყველასათვის ცხადზედ უცხადესია, რომ მრავალ სხვა და სხვა საპატიო მიზეზთა გამო მასწავლებელნი სკოლას გაურბიან, სკოლა უმასწავლებლოდ რჩება. შედეგი ასეთის სამწუხარო გარემოებისა მეტად თვალსაჩინოა, სწავლის საქმე სკოლებში ფერხდება. სამოსწავლო ოლქები სანთლით დაეძებენ მასწავლებლებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ჰპოულობენ. საქმე იმდენად გაჭირდა, რომ აქციზის მოხელეებსაც კი ემუდარებიან, პატივი გვეცით, გაითვალწინეთ ჩვენი მდგომარეობა, სკოლას სრულიად უმასწავლებლოდ ნუ დაგვინარჩუნებთო.

დიაღ, ასეთ სამძიმო საქმედ გადაიქცა სახელმწიფო სასწავლებლებისათვის მასწავლებლების მოძებნა და მოპოვება და, აბა, როგორ უხერხულ მდგომარეობაში უნდა იყვნენ ჩაცვივნულნი, კერძო სასწავლებლები, რომელნიც ამ ჟამად იძულებულნი არიან სრულიად განსაკუთრებულ შეზღუდულ გარემოებაში ილვაწონ. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ სახელმწიფო სასწავლებელთა მოღვაწენი გაცილებით უფრო უზრუნველ-ყოფილნი არიან ნივთიერად, ვიდრე მათი კერძო სასწავლებლების მოძმე თანა მოსამსახურენი. თუ კი სახელმწიფო სასწავლებლებს უჭირთ მასწავლებელთა საკმაო რიცხვის მოპოვება, რამდენად გასაჭირი უნდა იყოს ეს კერძო სასწავლებლებისათვის.

სახელმწიფო და კერძო სასწავლებლები ერთსა და იმავე აზრის განხორციელებას ემსახურებიან, ორისავე ჯურის სკოლებს თავის სამღვთო მოვალეობად დაუსახავთ ხალხში თვითცნობიერების დროშა ღირსეულად ააფრიალონ და მით ამ ჟამად ხალხის კეთილდღეობა მკვიდრ და სასურველ ნიადაგზედ დაამყარონ.

ყველას პირდაპირი მოვალეობაა, შეძლებისა დაგვარად, ხელი შეუწყოს, ჯეროვანი დახმარება აღმოუჩინოს სკოლების ასეთის დიადის აზრის განხორციელებას. ვინც ასეთ დახმარებას სკოლას არ უწევს, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, არა სურს გაუწიოს, იგი სკოლისა და მოსწავლე ახალგაზდობის მოპირნახულეთ თავის თავს ვერ დასახავს. მოვა დრო, და, ვგონებთ, ეს დროც შორს არაა, როცა თვით საზოგადოება ღირსეულს მსჯავრს დასდებს ასეთების მოღვაწეობას.

მკითხველს, რასაკვირველია, უკვე მოეხსენება, რომ ტფილისში არსებობს კერძო სასწავლებელი, ეგრედ წოდებული «ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა» ოთხის მოსამზადებელისა და რვა გიმნაზიურ კლასის კურსით, საცა სწავლობენ შვიდასამდე ტფილისის გუბერნიის შეუძლებელ თავად-აზნაურთა შვილები. ეს სკოლა რომ არ იყოს, ღრმად დარწმუნებულნი ვართ, შვიდასი სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა სრულიად უსწავლელი და უვიცი დარჩებოდა, რაიცა სახელმწიფოს მეტ და აუტანელ ბარგად დააწვებოდა. შვიდას ახალგაზდის უსწავლელად დატოვება დიდ უბედურებად უნდა იქმნას მიჩნეული. თვით სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს, რომ ამ სკოლის თანაგრძნობა მეტად საჭიროა და სადღეისოა, ამ სკოლის დახმარება და ხელის შეწყობა თვით სახელმწიფოს ჭეშმარიტის ინტერესების საფუძვლიანს ნიადაგზე დამყარება-დამკვიდრებაა.

დიაღ, ყოველივე ეს ასეა, მაგრამ აწინდელი ჟამთა ვითარება სულ სხვა მხრივ ატრიალებს ამ სკოლის დედა ძარღვს და ეს დიდ-მნიშვნელოვანი, სიმპატიური დაწესებულება, თუ არა ვცდებით, სრულიად დაუმსახურებლად ისჯება, რაიცა, რასაკვირველია, არა სასურველს გავლენას იქონიებს მისს ნორმალურს ცხოვრების მიმდინარეობაზე.

როგორც ზემორე მოვიხსენიეთ, ამ უკანასკნელს ხანებში მასწავლებლები სანთლით საძებნელნი შეიქმნენ. მასწავლებლების კრიზისმა, რასაკვირველია, სათავად-აზნაურო სკოლაშიაც იჩინა თავი. თუმცა დაბრკოლება მრავალი აღმოჩნდა, მაინც სკოლის სამზრუნველო კომიტეტმა მოახერხა და მოსძებნა შესაფერის მომზადებისა და უფლებით აღჭურვილნი მასწავლებელნი და წარუდგინა სათანადო სამოსწავლო მთავრობას დასამტკიცებლად. სამწუხაროდ, სამოსწავლო ოლქმა ვერა სცნო მოსახერხებლად დაემტკიცებინა კომიტეტის მიერ წარდგენილი კანდიდატები და ამ ნაირად, რასაკვირველია, სკოლა, ისიც სწავლის დროს, მეტად უხერხულს მდგომარეობაში ჩავარდა.

ჯერ იყო და სკოლას არ დაუმტკიცეს სკოლის გამგედ არჩეული თხუთმეტ-თექვსმეტის წლის განმავლობაში პედაგოგიურს ასპარეზზედ მოღვაწე ბ-ნი ივ. რატიშვილი. ჩვენ კერძოდ არ შევდივართ იმის მდგომარეობაში, თუ რითი ხელმძღვანელობდა სამოსწავლო ოლქი, როცა ბ-ნ ივ. რატიშვილის კანდიდატურა უარჰყო, ვიტყვით მხოლოდ, რომ ბ-ნი ივ. რატიშვილი გამოცდილი და დახელოვნებული მასწავლებელია, რომლის გულ-წრფელი და ნაყოფიერი მოღვაწეობაც არა ერთხელ შეუმოწმებიათ თვით სამოსწავლო ოლქის წარმომადგენლებსაც-კი. ბ-ნი რატიშვილი უმაღლესს სასწავლებელში კურს დამთავრებულია და, ამასთანავე, კეთილ-საიმედო კაცადაც მიჩნეული, რადგან სამოსწავლო ოლქის მიერ დამტკიცებულია მასწავლებლად და, მაშასადამე, კეთილ-საიმედოთაცაა ცნობილი. სამზრუნველო ოლქმა აგრეთვე მოუხერხებლად სცნო დაემტკიცებინა მასწავლებლებად ბ-ნნი ლ ბოცვაძე და ყასაბიევი.

ბ-ნი ლ. ბოცვაძე გამოცდილი პედაგოგია, როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულადაც. თერგის ოლქის დირექცია, საცა ამ ჟამად მოღვაწეობს ბ-ნი ბოცვაძე, დიდად აფასებს ამ მასწავლებლის პედაგოგიურს გამოცდილებას და არა ერთხელ მადლობით მოუხსენებია მისი მოღვაწეობა. ბ-ნი ბოცვაძეც კეთილ-საიმედო კაცადაა მიჩნეული ოლქის მიერ, რადგანაც თერგის ოლქში მასწავლებლადაა დამტკიცებული. ამ ჟამად მხოლოდ საჭირო იყო ერთის დირექციიდან მეორე დირექციაში გადმოყვანილ ყოფილიყო. ბ-ნ ყასაბიევის შესახებაც იგივე ითქმის: იგი აწ გაუქმებულ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მოღვაწეობდა და ამ ჟამად რუსეთის ერთ-ერთს სასულიერო სასწავლებელშიაც იქმნა მიწვეული.

აი, ამ უმასწავლებლობის დროს, აი, სწორედ იმ დროს, როცა თვით სახელმწიფო სასწავლებლები მასწავლებლებს სანთლით დაეძებენ და მაინც ვერა ჰპოულობენ, ჩვენს ამ ერთად-ერთს სასწავლებლებს ესეთი დაბრკოლებანი წინ ეღობება და მით ნორმალურს საქმის ვითარებას ასე თუ ისე საიმედო ნიადაგი უსუსტდება.

ვერ დავიჯერებთ, რომ სამოსწავლო ოლქი უგულოდ ეკიდებოდეს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენში, მხოლოდ ის კი აშკარაა, რომ სკოლის ასე უმასწავლებლოდ დატოვება, და მერე ისიც სწავლის დროს, მეტად სამწუხარო მოვლენაა.

მაშ, რა მიზეზია, რა მოსაზრებით არ ამტკიცებს სამოსწავლო ოლქი ყოვლად ღირსეულს კანდიდატებს სკოლის გამგე მასწავლებლად, აი საკითხი, რომელიც თვითეულს შეგნებულს მკითხველს უნებლიედ თავში გაუელვებს.

სხვისა კი რა მოგახსენოთ და, ჩვენ კერძოდ იმ აზრისანი ვართ, რომ ყველა ამაში უმთავრესად დამნაშავენი არიან ჩვენის საზოგადოების ზოგიერთნი ქვემძრომნი, რომელთაც შეცდომაში შეჰყავთ სამოსწავლო ოლქი ათასის სხვა და სხვა საზიზღარ ჭორების გავრცელებით ამა თუ იმ კანდიდატის შესახებ. სამწუხაროა, როცა საშვილის-შვილო საქმე მსხვერპლად ეწირება ასეთის ვაჟ-ბატონების ქვენა განზრახვას.

დიაღ, ათასჯერ ვიტყვით, რომ სამწუხაროზე უფრო სამწუხაროა და, თუ ჩვენი მოსაზრება შემცდარი გამოდგება, ბედნიერად ჩავსთვლით ჩვენს თავს და საჯაროდ ბოდიშსაც მოვიხდით.

ყოველ შემთხვევაში, საჭიროა ამ სამწუხარო გარემოებას სათანადო ყურადღება მიექცეს; საჭიროა, რომ ისეთი დიდმნიშვნელოვანი საშვილისშვილო დაწესებულება, როგორიცაა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, კერძო კაცთა სათარეშო სარბიელად არ გარდაიქცეს; საჭიროა, რომ ყოველი კანონიერი უფლება, რაიცა კი რუსეთის იმპერიის კერძო სასწავლებლისათვის არსებობს, ყველასაგან და ყველას მიერ ხელუხლებელ უფლებად იქნას აღსარსებელი. საჭიროა, რომ სკოლა და მისი ერთგულნი მუშაკნი დაცულ იქმნან ყოველგვარ უსაბუთო და დაუმსახურებელ ბრალდებისაგან, რადგან ასეთი დაუმსახურებელი ბრალდება ნიადაგს უსუსტებს ისეთს დაწესებულებას, რომელიც მოვლა-პატრონობას უწევს შვიდასს ღარიბ და შეუძლოს, სწავლა-მოწყურებულს ახალგაზდას. ასეთის დაწესებულების შესახებ ხმის ამოღება, ასეთის დაწესებულების შელახულ უფლებათა აღდგენა, სრულიად კანონიერი და ბუნებრივი უფლებაა.

რაც სკოლის სამზრუნველო კომიტეტმა დღემდე ვერ შესძლო სკოლის საკეთილდღეოდ, ეს თვით ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ და მისმა წარმომადგენელმა გუბერნიის წინამძღოლმა უნდა შეაძლებინოს კომიტეტს. ვინ დაგვძრახავს, რომ ჩვენის შვილების სწავლა-განათლებისათვის ჩვენვე ვიზრუნოთ და, სადაც ჯერ არს, კანონიერად ხმა აღვიმაღლოთ.

ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ შეთანხმებულის მოქმედებით მოღვაწეობა ბევრად ხელს შეუწყობს ამ ჩვენს საშვილის-შვილო საქმეს და ის ხუნდები, რომელიც ამ ჟამად რგოლებივით გარს შემორტყმია ჩვენის შვილების განმათვით-ცნობიერებელ ტაძარს, ხვალ-ზეგ სკოლის საკეთილდღეოდ დაიმსხვრევა.

დიაღ, საჭიროა ჩვენის კანონიერის უფლების დასაცველად ხმის ამაღლება, საჭიროა შეთანხმებულის შრომით მოღვაწეობა, თუ გვსურს სანატრელს მერმისს მივაღწიოთ.

ნუ დაგავიწყდება, რომ ესრეთი შეთანხმებული შრომა-მოღვაწეობა დიდი ზნეობრივი ძალაა, რომელიც პატარა, უმნიშვნელო საგანსაც კი დიდ მნიშვნელოვან საგნადგარდაქმნის.

«Concordia parvae res crescunt, discordia maximae dilabuntur».

# ომის ამბები

## დეპეშები და წერილები.

**გენერალ დრაგომიროვის აზრი იაპონელების შესახებ.** სამხედრო გაზეთ «რაზვედჩიკ»-ში გენერალი დრაგომიროვი იაპონელების შესახებ, სხვათა შორის, სწერს: იაპონელების საარაკო სიმამაცისა ჩვენ არ გვეშინიან. სიმამაცით ჩვენ ვერ გაგვაკვირვებენ. იაპონელები ჩვენთვის საშიშონი არიან თავიანთ წყეულ წვრილმან სინამდვილით, რომელიც ყოველ მათ უბრალო, პატარა სურათსა და სხვა უფასო ნაწარმოებში მოსჩანს. იაპონელმა პერსპექტივა არ იცის, მაგრამ დიდ ყურადღების ღირსი ის არის, რომ იაპონელი საკვირველის სინამდვილითა და მთლიანობით ხატავს ან ჰქარგავს ყოველ წვრილმანს, უბრალო წერტილსა და უმნიშვნელო ხაზს, რომელთაც ევროპიელი ყურადღებასაც არ მიაქცევდა. დარწმუნებული ვარ, რომ იაპონელი წაკითხულსა და ნახულს ასეთისავე სინამდვილით იხსომებს. იაპონელები გერმანელების მშვენიერი და გონიერი შეგირდები არიან. თავიანთი ჯარი აქეთ-იქით გადაჰყავ-გადმოჰყავთ და ყოველთვის ჩვენ ჯარს ფრთიდანაც მოუვლიან ხოლმე. ის დაიჯერეს, ვითომ თოფითა და ზარბაზნით ყოველ იერიშს მოგერება შეიძლებოდეს. იაპონელი ჩვენთვის საშიშო და საშინელი იმით არის, რომ თავში ყველაფერი რიგზედ აქვს დალაგებული. («კავ.»).

—

**ამერიკელის აზრი რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ.** ამერიკულ გაზეთ «ნიუ-იორკ ტრ.»-ში დაბეჭდილია წერილი ვინმე სპენსისა, რომელიც ამბობს: ეხლა ისეთი დრო დადგა, რომ ჰუმანიზმისა და მთელ ქვეყნის ვაჭრობის დასაცველად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა რუსეთს უნდა გამოუცხადონ, რომ ეხლანდელი ომი მოსპოს, თორემ ინგლისი და ამერიკა იაპონიას მხარს მისცემენ და თავიანთ აუარებელ ფულითა, ჯარით და ფლოტით დაეხმარებიან. რუსეთმა თვითონ დაიწყო ეს უსამართლო ომი და წააგო კიდევაც. რუსეთი ომის დაწყების პირველ დღიდგან უკანასკნელ საშინელ ბრძოლამდე ზღვაზედაც მარცხდებოდა და ხმელეთზედაც და უკვე დაამტკიცა, რომ იაპონიასთან ბრძოლა არ შეუძლიან. დღეის იქით ომი მხოლოდ მეტი და უნაყოფო სისხლის ღვრა იქნება. ამბობენ, რომ, თუ ინგლისი და ამერიკა იაპონიას მიემხრობიან, გერმანია და საფრანგეთი მაშინვე რუსეთის მხარეს დაიჭერენო. მგონია, რომ ეს შეუძლებელია,—ამბობს სპენსი,—მაგრამ შესაძლებელიც რომ იყვეს, სულ ერთია, გერმანია და საფრანგეთი რუსეთს ბევრს ვერას უშველიან: რუსეთს ომისათვის საჭირო მასალა ეხლაც აქვს და ჯარიცა ჰყავს, მაგრამ ამ მასალისა და ჯარის გაგზავნა ბრძოლის ველზე არ შეუძლიან. გერმანიამ და საფრანგეთმა თავიანთი ჯარი იმავ გზით უნდა გაჰგზავნონ, რა გზითაც რუსეთი ჰგზავნის. ინგლისი თავის ფლოტით გერმანიასა და საფრანგეთს გზას სულ შეუკრავს, ამერიკა კი თავის ხომალდებით იაპონიას ყოველსავე საჭირო მასალას მიაწოდებს და, თუ საჭირო იქნება ამერიკიდან იაპონიაში 250,000 თავისუფალ მებრძოლის გადაყვანა დარწმუნებული ვარ, რომ ერთ თვეს ომში წასვლის სურვილს 500,000 კაცი გამოაცხადებდა. თუ გერმანია და საფრანგეთი შორეულ აღმოსავლეთში თავიანთ ჯარის გადაყვანას ვემებით. მოისურვებდნენ, ამერიკის კრეისერებს შეძლება ექნებოდათ ყველა ტრანსპორტი ან დაეტყვევებინათ, ან ჩაეძირათ. მაშასადამე, რუსეთსა, საფრანგეთსა და გერმანიას, ინგლისსა და ამერიკასთან ბრძოლა არასგზით არ შეუძლიანო. ეს ძალიან კარგად ესმით რუსეთსაც, საფრნგეთსაცა და გერმანიასაც. ინგლისმა და ამერიკამ რუსეთს რომ ამ გვარი ულტიმატუმი გაუგზავნონ, ომი ეხლავე გათავდებოდა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისისა და ამერიკის ამგვარ ქცევას ამერიკელები თანაგრძნობით მიეგებებიან». (პეტ. ვედ.).

—

**გენერალ ლიგნიცის აზრი იაპონიის ჯარის შესახებ.** ჟურნალ «დევრევ»-ის სამხედრო მიმომხილველი გენერალი ლიგნიცი სწერს: იაპონიას ჰყავს 7 მილიონი კაცი, რომელთაც იარაღის ტარება შეუძლიანთ. ამათაგან ერთი მესამედი ჯარში გასაყვანად გამოსადეგია. საზოგადოთ ტანით დაბალ იაპონელს ძლიერი ფილტვები აქვს, მხრებისა და მკლავების ნაკვთები ძალიან აქვს განვითარებული და საშინლად ღონიერნიც არიან. თუ ამას დავუმატებთ ეთიკურ საფუძველზე დამყარებულს იაპონელის სიმტკიცეს მოვალეობისადმი, სიკვდილის არაფრად ჩაგდებასა და იაპონელ ჯარის კაცის პატრიოტულ აღფრთოვანებას, მაშინ ადვილი გასაგები გახდება, რომ რუსის ჯარის წინწასვლასა და გალაშქრებას წინ თითქმის უძლეველი დაბრკოლება აემართება. (პ. ვ.).

—

**პირველად ვინ გაილაშქრებს, ოიამა თუ კუროპატკინი?** „ნიუ იორკ ჰერ.»-ის სამხედრო მიმომხილველი ამბობს: ძალიან ძნელი გამოსაცნობია, რას აპირობენ მდინარე შახეს ნაპირებზე მდგომი რუსეთისა და იაპონიის ჯარები. აქამდის არც ერთმა არ გამოააშკარავა თავის მამავალ მოქმედების გეგმა ცოტად თუ ბევრად საყურადღებო სამხედრო ოპერაციით. როგორც ეტყობა, სანამ იაპონელებს ლიაოიანში არ მიუვათ თავიანთი საუკეთესო ჯარი, რომელიც ეხლა პორტ-არტურთან მოქმედებს, სანამ მარშალი ოიამა გალაშქრებას არ აპირობს, პორტ-არტურიც რომ აიღონ, მაინც ძნელი სათქმელია, მარშალი ოიამა ცივ ზამთარში ინდომებს თუ არა გალაშქრებას. გენ. კუროპატკინი კი, პირიქით, პორტ-არტურის აღებამდე უნდა შეუდგეს საქმეს, იაპონელებზე იერიში უნდა მიიტანოს და პორტ-არტურისაკენ გზა უნდა გაიკვლიოს. ჯერ-ჯერობით კი კუროპატკინი ერთ ადგილზე დგას და ელის მაშველ ჯარს, რომლის მოსვლის შემდეგაც კუროპატკინს ოიამაზე მეტი ჯარი ეყოლება. ეხლა მაშველი ჯარი კუროპატკინს ყოველ დღე მოსდის, მაგრამ, უეჭველია, მალე მოვა ის დრო, როცა რუსეთის ჯარის გადიდება და ზრდა შეჩერდება, და როცა ეს დრო დადგება, კუროპატკინიც სწორედ მაშინ გაილაშქრებს და იაპონელებზე იერიშს მიიტანს. (პ. ვ.).

—

**წვრილი ამბები.** მარშალმა ოიამამ დეპეშით შეატყობინა თავის მთავრობას: რუსებს რამდენჯერმე უნდოდათ ჩვენი ხაფანგში გაბმა, მაგრამ ვერ მოახერხესო. იაპონელებს უჭირავთ მშვენიერი და ძლიერ გამაგრებული პოზიციები, რომელნიც მაშინაც კი დიდ სარგებლობას მოიტანენ, თუ იაპონელებმა სატევი ომი დაიწყესო. («კავკ.»).

—

გაზ. «პიტ. ბლ.» იუწყება, ბელგიაში რუსეთის ჯარისთვის 1 მილიონი წყვილი ჩექმა იყიდესო. რუსეთის სამხედრო აგენტებს ნაბრძანები აქვთ, ყოველივე საჭირო მასალა მხოლოდ საფრანგეთსა, შვეიცარიასა და ბელგიაში იყიდეთო. ეს აგენტები ბელგიაში აუარებელ სამხედრო მასალას, კონსერვებსა და არაყს ყიდულობენ. («კავკ.»).

# ახალი ამბავი

—

**აკაკის ავადმყოფობის გამო.** ჩვენ მივიღეთ საჩხერიდგან აკაკის ავადმყოფობაზედ შემდეგი დეპეშა: „საჩხერის ბიბლიოთეკის წევრნი ძლიერ შეგვაწუხა საყვარელ მგოსნის აკაკის ავადმყოფობამ. გადაეცით ჩვენი მხურვალე თანაგრძნობა; ვუსურვებთ გულით ჩქარა განკურნებას».

*** **სამკითხველო უგაზეთოდ.** სამტრედიიდან გვწერენ, რომ ჩვენს უფასო სამკითხველოში არც ერთი ქართული გაზეთი არ მოიპოვებაო. სამკითხველო არსებობს და შიგ წასაკითხავი კი არა არისრა. არ იქნა, ერთი რიგიანი პატრონი და გულ-შემატკივარი არ გაუჩნდა ჩვენს სამკითხველოსაო.

*** **ფილარმონიულ საზოგ. წესდების დამტკიცება.** გუშინ რედაქციაში ბ-ნ ი. კარგარეთელმა შემოიტანა ქართულის ფილარმონიულ საზოგადოების წესდება, უმაღლეს მთავრობის მიერ დამტკიცებული, და განაცხადა, რომ ეხლავე შევუდგებით წესდების დაბეჭდვას და მას შემდეგ საზოგადო კრებაც იქნება მოწვეულიო.

ჩვენ ჩვენის მხრივ დავუმატებთ, რომ საჭიროა წესდება ქართულს ენაზედაც დაიბეჭდოს.

*** ბ-ნი ი. ს. ფანცხავა, რომელიც შავის ქვის მრეწველთა კრების საბჭომ, განსვენებულ ალ. თ. ნანეიშვილის ნაცვლად, თავის მდივნად ამოირჩია, არ გადადის ამ თანამდებობაზედ, რადგანაც ფოთის მცხოვრებთა და ხმოსნებს უთხოვნიათ ბ-ნ ფანცხავასთვის, ისევ ქალაქის მოურავის მოადგილედ დარჩითო. (ც. ფ.)

*** **პიესად გადაკეთებული გრ. ლ. ნ. ტოლსტოის „აღდგომა“.** სამშაბათს, 30 ნოემბერს, ტფილისის არტისტიულ საზოგადოების თეატრში ბ-ნის ვს. მეიერხოლდის რუსული დრამატიული დასი წარმოადგენს ახალ პიესას: «კატიუშა მასლოვისა», რომელიც ბ-ნმა ნ. ფ. არბენინმა სასცენოდ გადააკეთა 5 მოქმედებიან დრამად პროლოგით. ბილეთები ამ თავით იყიდება. ამ პიესამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სატახტო ქალაქების სცენებზედ; პირველად ეს პიესა სასცენოდ გადააკეთა ბ-ნმა გრ. გემ, ხოლო შემდეგ კი—ბ-ნმა არბენინმა; ამის გამო ბ-ნი გე უჩივის არბენინს სასამართლოში. ამ უკანასკნელის სასცენოდ გადაკეთებული «აღდგომა» მოიწონა გრაფმა ლ. ნ. ტოლსტოიმ.

*** **პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლება.** როგორც „ცნ. ფურ“-ს არხანგელსკიდან სწერენ, უმაღლესის მანიფესტით, აგვისტოში პოლიციის ზედამხედველობისაგან განთავისუფლებულ იქმნა 66 კაცი და ქალი (ყველა მცირეწლოვანი). აქედგან 15 კაცი გაანთავისუფლეს უმაღლესის ბრძანებით, ხოლო 25—ახალ მინისტრის თავ. სვიატოპოლკ-მირსკის განკარგულებით. ამას გარდა, განთავისუფლებულ იქმნა კიდევ 80 კაცი უმაღლესის ბრძანებით (არა მანიფესტით); სულ ამ უკანასკნელ ხანებში განთავისუფლებულ იქმნა 230 პოლიტიკური დამნაშევე. დარჩა კიდევ არხანგელსკის გუბერნიაში 500 კაცი და ქალი; ზემო აღნიშნულ 80 განთავისუფლებულთა რიცხვში ურევია შემდეგი ქართველები: მიხეილ სპირიდონის ძე კობერიძე (მეოთხე კურსის სტუდენტი), გიორგი გაბრიელის ძე არომელიძე (ფერშალი), ვლადიმერ იაშვილი (კანტორის მოხელე) და კირილე კახეთელიძე, და ერთი სომეხი—ავაქიანცი. ამბობენ, რომ ამ მოკლე ხანში ყველა გადმოსახლებულ პოლიტიკურ დამნაშავეებს განთავისუფლებენო.

*** **მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ი. დ. მალამა** 17 ნოემბრიდგან შეუდგა კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარ-მართებლისა და კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსის თანამდებობათა დროებით აღსრულებას.

*** **ფუნიკულერი.** რადგანაც ცუდმა ამინდმა ხელი შეუშალა მამადავითის მთაზედ ფინიკულერისათვის მუშაობის დამთავრებას, ამიტომ ფუნიკულერის მოძრაობა გადადებულ იქმნა დეკემბრის პირველ რიცხვებამდე. ზემო სადგური ფუნიკულერისა სულ მზადაა, ხოლო ბეტონის ქვის საძირკვლების გამართვასა და ზედ რელსების დაგებას ეხლა ამთავრებენ.

---

### ქუთაისის ახალი ამბები

—

*** **ქუთაისის საურთიერთო ბანკის საგანგებო კრება.** როგორც გავიგეთ, 5 დეკემბერს ქუთაისში დანიშნულია საურთიერთო ბანკის წევრთა საგანგებო კრება. კრებამ უნდა განიხილოს ბევრი მეტად მწვავე საგანი და, სხვათა შორის, უნდა შეიტანოს კარგა ბლომა ფულიც, რომ ბანკს შეეძლოს მომავალში ჩვეულებრივ დაუბრკოლებლად იმოქმედოს. როგორც ვიცით, ეს სიმპატიური ბანკი ამ ჟამად მეტად ცუდს მდგომარეობაშია და მისი აღორძინება და ახალს გზაზე დაყენება მეტად სასურველია.

*** **ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის** მდივნად, გაზეთ «ცნ. ფურ.»-ის სიტყვით, ბ-ნ ვ. ლოსაბერიძის ნაცვლად, მიუწვევიათ თავ. გ. დ. წულუკიძე, რომელიც აქამდე ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების უფროს კასირად იყო.

*** **ყაჩაღების თავდასხმა.** ამ მოკლე ხანში სოფ. გოდოგანს, რომელიც ქუთაისის მახლობლად იმყოფება, ღამის ორს საათზე თავს დაესხნენ ადგილობრივ ყველასაგან პატივცემულსა და ღრმად მოხუცებულს მღვდელს. ერთხანს ხანჯლით სჩიჩგნეს მღვდელი, მერე მიუბრუნდნენ მისს მეუღლეს და ცხვირის მოჭრაც კი მოუნდომეს. წაიღეს ფულად ერთი თუმანი, ქვეშაგები და სხვა ნივთები და არხეინად გაუდგნენ გზას.

*** **ელექტრონის განათება.** ამ ჟამად აქ იმყოფება ინჟენერი გირზე და მოლაპარაკება აქვს გამართული ზოგიერთ კერძო კაცებთან, რომ ელექტრონით განათება მოაწყოს კერძო სახლებსა და სხვა და სხვა დაწესებულებში.

*** **ტელეფონი ქუთაისში.** გადასწყდა ტელეფონის გამართვის საქმე ქუთაისში. ქალაქის გამგეობამ და ინჟ. ალიბეგოვმა ხელშეკრულობას ხელი უკვე მოაწერეს. ბ-ნმა ალიბეგოვმა 1,000 მან. გირაო კიდეც წარუდგინა ქალაქს. მიხეილის ქუჩაზედ ბოძებია გამართული ტელეფონის მავთულების გასაბმელად.

*** **ახალი გაზეთი ქუთაისში.** როგორც „ცნ. ფურც.“-ს აუწყებენ, ქუთაისის ქალაქის ბეითალს ბ-ნ ლანგს განუზრახავს გამოსცეს ქუთაისში გაზეთი რუსულს ენაზედ.

---

# ხოლერა

(გაგრძელება *).

### ე ქ ი მ ო ბ ა.

საზოგაოების არ სჯერა, რომ ექიმს შეეძლოს რამე შემწეობის აღმოჩენა ხოლერით ავადმყოფისათვის. დროა, ბოლო მოეღოს ამ ცრუ აზრს. ექიმობას დიდი მნიშვნელობა აქვს და იშვიათი შემთხვევა არ არის, რომ ექიმებს მძიმე ავადმყოფები, რომელთაც სიკვდილისკენ ჰქონდათ პირი, გამოუბრუნებიათ.

რაც უფრო ადრე დაიწყება ექიმობა, მით უმჯობესია. როცა რწყევა-ფაღარათობა აუტყდა ავადმყოფს, მაშინ პირიდგან, რასაც გადაჰყლაპავს, იმ წამსვე ამოარწყევს.

როგორც ვიცით, პირველად უბრალო, ზომიერის ფაღარათობით იწყება ხოლერა. სწორედ ამ დროს არის კარგი და დიდ-მნიშვნელოვანი ექიმობა, უნდა დაალევინო ავადმყოფს ისეთი საფაღარათო, რომ გასწმინდოს წელები განავლისაგან, განაძეოს ბაცილლები, რომელნიც განავალში ფუსფუსებენ, და დახოცოს ან ძალა დაუკარგოს იმ ბაცილლებს, რომელნიც წელების კედლებში ღრმად ჩამძვრალან და რომელთა განდევნაც წელებიდგან საფაღარათოს არ შეუძლია.

ამ გვარი საფაღარათოა კალომელანი (calomelan 0,5). ეს ფხვნილი ჯერ უნდა დაალევინო რვა-რვა გრანი თითო დალევაზე ორჯერ ყოველ ორ საათში, შემდეგ კი დღეში თუნდ ხუთჯერ, ექვსჯერ ყოველ ორ საათში თითო გრანი. კალომელანი იმას გარდა, რომ წელებს სწმენდს განავალისაგან, ბაცილლებსაც ხოცავს და აუძლურებს, რადგან ნაწილი კალომელანისა წელებში სულეიმანად იცვლება და სულეიმანი კი უძლიერესი საწამლავია ბაცილლებისათვის.

კალომელანის დალევინების დროს დიდი სიფთხილე ჰმართებს კაცს. ამ დროს არ შეიძლება აჭამო მარილიანი რამ, არც მჟავე, არც სხვა წამლები, რომლებიც კალომელანთან ერთად სულეიმანს აჩენენ ბლომად. ბევრი სულეიმანი კი ადვილად მოსწამლავს ავადმყოფს. ამიტომ, საჭიროა კალომელანი მხოლოდ ექიმმა დაუნიშნოს ავადმყოფს.

ამას გარდა, ბავშვებს ბევრად ნაკლები ზომა უნდა დაალევინო კალომელანისა, რადგან დიდისთვის საჭირო ზომა ამ წამლისა ბავშვს ადვილად მოსწამლავს, გამოანგარიშება კი იმისი, რამდენი უნდა დალიოს ბავშვმა, შეუძლიან ექიმს.

რა კი წელები რიგიანად გასწმინდეთ, გაასუფთავეთ კალომელანით და ბაცილლებიც დახოცეთ ან დააუძლურეთ, მას უკან საჭიროა ისეთი წამალი, რომელიც ბაცილლებსაც ხოცავს და ასუსტებს და თან ფაღარათსაცა სპობს. ასეთი წამალია, მაგალითად, ტანნინი. უმჯობესია ტანნინი აბებად გაკეთდეს, რომ კუჭში არ გაიშალოს და მხოლოდ წელებში იმოქმედოს. tannini უნდა დაალევინო ავადმყოფს თითო დალევაზე ორ-ორი ან სამ-სამი გრანი დღეში ოთხჯერ. ბავშვებს, რასაკვირველია, მეტად უფრო მცირე ზომა შეეფერება.

ამას გარდა, ძლიერ სასარგებლოა დიდი ოყნები, რომელიც შეიმოიღო იტალიის მეცნიერმა კანტანიმ 1884 წელს. ოყნისათვის ხმარობენ იმავე ტანნინს, ას წონა წყალზე ერთი ან ორი წონა ტანნინია საჭირო. უმჯობესია ტანნინი გამოიწეროთ ამ რეცეპტით:

Rp. jnf. flor. Chamomilloc 2000,0
Acidi tannini 20,0
Gummi arabini 30,0
T-rae opii crocat. 2,0
M. D. S. ოყნისთვის.

ოყნა უნდა გაუკეთოთ ესმარხის ჰურჭლით. წამალი უნდა გაათბოთ 39—40 t°-მდის. კაუჩუკის მილს, რომელიც ცალის თავით ესმარხის ჭურჭელთანაა შეერთებული, მეორ ებოლოზე უნდა წამოაცვა რბილი ზონდი, რომელიც უკანა წელში უნდა შეუდვა ავადმყოფს. ესმარხის ჰურჭელი უნდა დაიჭირო ძლიერ მაღლა, სამ ადლზე ლოგინიდან. ამ შემთხვევაში ტანნინის ხსნილი შორს მიდის წელებში და მშვენივრად მოქმედებს. ამას გარდა, რომ ეს ხსნილი ხოცავს და ასუსტებს ბაცილლებს, იგი აქარვებს, აქარწყლებს თვით საწამლავს, ათბობს ავადმყოფს და აჩქარებს სისხლის მოძრაობას. ეს ხსნილი სასარგებლოა, როგორც ზომიერ ფაღარათობის დროსაც. უკანასკნელ შემთხვევაში ხსნილი სასარგებლოა არა მარტო, როგორც საწამლავის წინააღმდეგი საშუალება, და კიდევ, როგორც გამათბოლელი და სისხლის აღმამოძრავებელი, არამედ კიდევ მით, რომ ხსნილის მცირეოდენ წყალს წელები აუცილებლად შეისვამს, როგორც ღრუბელი შეისვამს ხოლმე წყალს, და ეს გარემოება ხომ დიდად მნიშვნელოვანია იმ ხანაში, როდესაც სხეულს რწყევისა და ფაღარათობისაგან ამდენი წყალი ეკარგება.

როდესაც ტანინის ოყნას უკეთებთ, იმავე დროს შეგიძლიათ ასვათ ავადმყოფს მარილის სიმჟავის სასმელი (Acidi muriatiù 2,0, Ad. destillat. 180, sir. simpl. 10,0, M. D. S.), ყოველ ორ საათში თითო სუფრის კოვზი, რომ ამ სიმჟავით დახოცოთ ბაცილლები, რომელნიც შესაძლებელია იყვნენ კიდევ კუჭში.

როდესაც ავადმყოფი «ალგიდ» ხანაშია, ე. ი. საშინელი რწყევა აქვს, უმთავრესი მისი წამალია ხსენებული დიდი ოყნები ტანნინის ხსნილისა. რწყევის შესამსუბუქებლად ავადმყოფმა უნდა ყლაპოს ყინული პატარა ნატეხები, სვას ცივი სასმელები: სელტერი, ლიმონადი, შამპანური და სხ.; სასარგებლოა კოკაინი (cocaini muriatici 0,2; Ad. amygdal. amar. 10,0, ათიან ხუთმეტ-ხუთმეტი წვეთი თვითო დალევაზე დღეში ოთხჯერ. კარგია მორფის შეშხაპუნება კან ქვეშ. ამას გარდა, უნდა იცოდეთ, ავადმყოფს სისხლი წელებიდან ტანის გარეგან ნაწილებში გაემართოს. ამისთვის საჭიროა ცხელი ვანნები, უბრალო ანუ მდოგვ ნარევის ცხელის წყლით სავსე ბოთლების შემოწყობა გარშემო, მდოგვი (გორჩიჩნიკი) წვივების უკანა კუნთებზე, გულის კოვზზე და მუცელზე გაცხელებული სილის თესლი. თუ გული შეუსუსტდა და თრთოლვა დააწყებინა, უნდა ასვათ ეთერ-ვალერიანის წვეთები, თითო დალევაზე ხუთმეტ-ხუთმეტი წვეთი, ყოველ ორ საათში. უნდა ასუნებინოთ ნიშადური და სხ.; ამასთანავე უნდა უსვათ ტანზე ფლანელი, ქაფურის სპირტი, «ვოდკა» მარილ გარეული, გაუკეთოთ ვანნები (28—35°); არის კიდევ ბევრი სხვა საშუალება, კან ქვეშ შესასხმელიც და დასალევიც, რომლის გამოწერა და გაკეთება შეუძლიან მხოლოდ ექიმს.

ტიფოიდის დროს მთავარი საშუალება ხსენებული ოყნებია ტანნინის ხსნილისა.

როდესაც ხოლერით ავადმყოფი «ალგიდ» ხანას გამოივლის, ტიფოიდი აღარ გაუგრძელდება და მორჩენის გზას დაადგება, მაშინ წამლობა აღარ უნდა, საჭიროა მხოლოდ დიეტა. აჭამეთ ბრინჯის, მანნის ან შვრიის წვენი, ბულიონი, თეთრი პური, თოხლო კვერცხი, ჩაი ადუღებულის რძით, ღვინო და სხვ., საზოგადოთ დღეში ოთხჯერ-ხუთჯერ უნდა აჭამოთ და თითო ჯერზე ცოტ-ცოტა. ჩვეულებრივი საჭმელი კი დიდხნობამდის არ უნდა აჭამოთ ხოლერისაგან მორჩენილს.

---

*) იხ. «ივერია», № 262.

ახლა ვიკითხოთ, როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ვისმე ხოლერის ნიშნები გამოაჩნდა, სანამ ექიმი მოვიდოდეს, ყველაზე უმალ ავადმყოფი უნდა დააწვინოთ და დახუროთ თბილად, გაუკეთოთ მუცელზე თბილი კომპრესსი, ან დაადვათ გაცხელებული სელის თესლი ან გაცხელებული ქატო და სხვ., დააკარით მდოგვის ქაღალდი (გორჩიჩნიკი) გულის კოვზს ქვეშ, რამდენსამე ხანს ნურაფერს ნუ აჭმევთ, თუ სწყურია, ასვით ცხელი ჩაი ლიმონით, ცოტა ღვინონარევი ან და მარილის სიმჟავის (acdi muriatici diluti) სასმელი, ე. ი. ამ წამლისა ხუთიდან ოცწვეთამდის გახსნით ერთს ჩაის სტაქან შაქრის წყალში და დაალევინეთ.

თუ რწყევა არა აქვს, ასვით მარილის სიმჟავის (ე. ი. acidi muriatici diluti) წვეთები, ხუთ-ხუთი წვეთი წყლით, დღეში სამჯერ ჭამის შემდეგ.

თუ ძლიერი ფაღარათი აუტყდა; დაალევინეთ დღეში ოთხჯერ 10—30 წვეთი თითო დალევაზე ინოზემცოვის ან ბოტკინის „კაპლებისა“, ანუ წვეთებისა. სისუსტე და თრთოლვა თუ მოუვიდა, ასვით გოფმანის წვეთები 5—10 წვეთი თითო დალევაზე, ეთერ-ვალერიანის წვეთებ, 15—30 წვეთი თითო დალევაზე, უზილეთ ტანი თბილის ფლანელით, ქაფურის სპირტით. მარილ-ნარევის „ვოდკით“, შემოადევით ფეხებზე და მთელ ტანზე ცხელის წყლით სავსე ბოთლები, გაუკეთეთ თბილი ან ცხელი ვანნა, რომელშიაც შეგიძლიათ ჩაყაროთ მდოგვი ნახევრიდან ორ გირვანქამდის. აჭამეთ და ასვით მხოლოდ ნახარში, საზოგადოდ დაიცავით საგანგებო სისუფთავე.

აქ უნდა შევნიშნო, რომ ძნელია, თითქმის შეუძლებელია, არა სპეციალისტმა გამოიცნოს დაჭეშმარიტებით ხოლერა, როდესაც ჯერ ნიშნები მხოლოდ ისახება, ე. ი. გამოიცნოს ხოლერის დასაწყისი. კიდევ უფრო შეუძლებელია არასპეციალისტმა თვით იკისროს ექიმობა, შესძლოს ყველა ხსენებულის დარიგების ასრულება. ამ წერილის აზრ, ამიტომ, ის; კი არ არის, რომ ყოველი წამკითხველი ექიმად გადაიქცეს, არა, აზრი მხოლოდ ის არის, რომ მკითხველმა დაახლოვებით მაინც იცოდეს, რა არის ხოლერა და რა ზომებია საჭირო ამ სენთან საბრძოლველად. და ამ დაახლოვებითს ცოდნას კი ძლიერ დიდი მნიშვნელობა ექნება. ჯერ - ერთი, რაკი მკითხველს ეცოდინება, საქმე რაშიაც არის, დროზე მოიწვევს ექიმს. მეორე, კარგად აასრულებს ექიმის ყოველსავე დარიგებას, დიდ დახმარებას აღმოუჩენს ექიმს ხოლერასთან ბრძოლაში.

ექიმი ვასილ წერეთელი.

(დასასრული იქნება)

# რუსეთი

ექიმ ქალთა კრება. მომავალ წელს პეტერბურგში მოხდება ექიმ ქალთა კრება. განსახილველად დანიშნულ საგანთა შორის ყველაზე საყურადღებო საგანი შესახებ იმისა, რომ ექიმ ქალებს პროფესორობად ყოფნის ნება მიეცეთ. ექიმ ქალებს სურთ, რომ საქალებო საექიმო ინსტიტუტის გარდა, უნივერსიტეტებშიაც იყვნენ პროფესორებად.

— ყორანის ძვირფასი გამოცემა. საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკა მომავალ წელს დაამთავრებს ყორანის ძვირფას გამოცემას. დაიბეჭდება სულ 50 წიგნი, გაჰყიდიან მხოლოდ 25 წიგნს. თითო წიგნი ეღირება 500 მანეთად (კასპ.).

— ამ უკანასკნელ ხანებში შავ-ზღვაზე საშინელი ღელვა იყო და არა ერთსა და ორს გემს გაუჭირა საქმე. მაგალითად, ოდესის მახლობლად მთელის სამის დღის განმავლობაში ნამდვილი ციკლონი მძვინვარებდა და ნავთსადგურში შემოსულ გემების უმრავლესობას ზოგს შუაზე გატეხილი ჰქონდა დირეკი და ზოგს აფრაზე და იალქანზე გაბმული ბაწრები სულ ერთიან დაწყვეტილ-დაფლეთილი აღმოაჩნდა. განსაკუთრებით საქმე გასჭირვებია ერთს გემს, რომელსაც უფროსობდა გ. იანუკუ ძ რომლის ეკიპაჟიც საშინელს განსაცდელში ყოფილა მთელი სამი დღე. მრისხანე ტალღა, როგორც ნაფოტს, ისე ისროდა გემს აქეთ-იქით და შემდეგ ბულგარიის ნავთ-სადგურ ზარნასთან გარიყა ნაპირზე. ეკიპაჟის მომეტებული ნაწილი დაშავებულია და ზოგი კიდევაც გაცივებულა და ავად გამხდარა.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „რუსის“ სამხედრო კორესპონდენტი ბ-ნი ნ. კირილოვი იუწყება, რომ ლაშქარს ძრიელ გაეხარდა გენ. კუროპატკინის მთავარ-სარდლად დანიშვნაო.

უფრო გაეხარდა ჯარს გენ. ლინევიჩის დანიშვნა მანჯურიის პირველ ლაშქრის სარდლად.

ამ კაცში ერთად არის მოთავსებული გაბედულობა, მხნეობა, უნარი უეცრივ თავდასხმისა, გეთილ-გონიერება და სიფრთხილე დიდის გუნკტატორისა.

გაგვიგონია, რომ «ზოგჯერ სიდინჯე გოობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა», ხოლო თუ ერთს კაცში მოთავსდება სიდინჯეცა და სიჩქარეც, ეგ უკეთესია, რასაკვირველია.

—

«ნედელიას» პირველ ნომერში დაბეჭდილია მეთაური წერილი სათაურით «რა ვქნათ»? ავტორი ამბობს, რომ საჭიროა ყოველის ღონის-ძიებით ვეცადოთ რუსეთის კულტურულ მდგომარეობის ამაღლებასო.

ერთს გერმანულს სახუმარო ჟურნალში დაბეჭდილია კარიკატურა: ორ ეზოსხს უპოვიათ სალაშქრო ჩემოდანი მოკლულის იაპონელისა, სინჯავენ და უკვირთ, რომ ჩანთაში ბევრი საინტერესო საგნებია, საოცარის წეს-რიგით დალაგებული. ერთი საგანი ხომ მაშის ზარს დასცემს თავზედ ეზოსხებს და გაოცებულნი უკან იხევენ. ეს საგანი-კი არის—კბილის სახეხი. არ ითქმის, რომ ეს კარიკატურა ძრიელ იყოს გაზვიადებული და დამლაშებული. მართლაცა და, ამ კბილის სახეხს უნდა შეეშინებინეთ და თვალ-ნათლად უნდა ეჩვენებინა ჩვენთვის, თუ რამდენად დაბლა ვდგევართ ჩვენს მოწინააღმდეგეზედ, რამდენად უკან-ჩამორჩენილნი ვართ. და აი, აქ იბადება დიდი და მრისხანე საკითხი: რა ვქნათ? უეჭველია, რომ უნდა მოვეწიოთ და გავსწროთ კიდეც იმათ, ვინც ჩვენზედ ძრიელ შორს არ წასულა ჯერა, თორემ მალე ყველა დაგვიწყებს დაჯობნას, ყველა, ვისაც არ დაეზარება ჩვენი ჯობნა და დაძლევა, თუ ომში არა, ეკონომიურს ბრძოლაში მაინცა.

ახლა ეს ყველასთვის ცხადია: იმათთვისაც-კი, ვისაც თვით ჩვენი უკულტურობა და მეტადრე უკულტურობა ჯარის კაცისა მოაჩნდათ უპირატესობად. წავა, სადაც ეტევა, თუნდ წყალში გადავარდება, მსჯელობას არ დაიწყებსო. დიადაც, დიადაც. მაგრამ უბედურობა ის არის, რომ ახლანდელი ომი მეტს თაოსნობას ითხოვს არა მხოლოდ უფროსთაგან, არამედ თვით მდაბიო ჯარის კაცთაგანაც. ხოლო ეს თაოსნობა, ეს საზრიანობა, ეს დამოუკიდებლობა ყოველის ღონისძიებით იხაგრებოდა. ჯარის კაცს სთხოვდნენ მხოლოდ განუკითხველ მორჩილებას, უდაპარაკოდ ბრძანების აღსრულებას. მაშასადამე, საჭიროა სულ გადაკეთდეს, სულ შეიცვალოს აღზრდა და მომზადება ოფიცრებისა და ჯარის კაცთა.

იმავე პრინციპით ვხელმძღვანელობდით საზოგადოების შესახებაც და განვაგებდით საზოგადოების საქმეებს ბიუროკრატიულის მანქანის შემწეობით, ისეთის მანქანის შემწეობით, რომელიც უარ-ჰყოფს ყოველს თვით-მოქმედებას.

მაგრამ ახლა სხვა დრო დადგა, ისეთი დრო დადგა, როცა საზოგადოებას ეუბნებიან, შენც იფიქრე, შენც იმოქმედე შენის გამოფხიზლებისა და ბედნიერებისათვისაო. ისეთი დრო დადგა, როცა საზოგადოებას უკვე სჯერა, რომ შესაძლოა ნაყოფიერი მოღვაწეობა.

# თეატრი და ხელოვნება

მეხუთე ქართული წარმოდგენა. არ ვიცით, რითი დავიწყოთ ოთხშაბათის წარმოდგენის ანგარიში: ვუსაყვედუროთ საზოგადოებას, რომელიც სულ არ სჩანდა წარმოდგენაზედ, გავახსენოთ მისი ზნეობრივი ვალდებულება საზოგად. საქმის წინაშე, თუ ყველა ამას გვერდი ავუაროთ, როგორც შაბლონს, როგორც უკურნებელს სენს, ყურადღება აღარ მივაქციოთ და ერთხელ და უკანასკნელად გადავწყვიტოთ, რომ არაფერს სანუგეშოს არ უნდა მოველოდეთ იმ საზოგადოებისაგან, რომელსაც თვით-ცნობიერების ლამპარი ჩაუქვრია, დროთა ვითარებას მშვიდობიანად მოჰრიგებია და მაშინ, როცა საერთო წყურვილი და საქმის სიყვარული უნდა იყოს გაბატონებული, მხოლოდ სუსტის, სნეულის მაჯის ცემით გაუცია პასუხი დროსთვის, რომელსაც ცდა არ უყვარს, გარბის და რომელიც სულ სხვანაირ პასუხს ითხოვს...

დიაღ, ითხოვს პასუხს ეხლავე, დაუყოვნებლივ. ეხლავე უნდა გადავწყვიტოთ, რით შევხვდებით მომავალს, როგორ გავუძლებით ათას საჭირ-ბოროტო საგნებს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას წამოუყენებია, და ვუღებთ თუ არა ბოლოს შენ-ჩემობას, სიზარმაცეს, საზოგადო საქმის გაუტანლობას და პასიურს მორჩილებას, მორჩილებას და მოლოდინს.

ქართული თეატრი, რამდენადაც კი გამომხატველია ჩვენის საზოგადოებრივის უნარისა და ალღოსი, ძლიერ უნუგეშო პასუხს იძლევა ზემოდ დასახელებულ საგნებზედ, ლაკონიურად სწყვეტს იგი ამსაქმეს ძ წინ გვიყენებს სხვა, მეტად რთულსა და საშიშ საგანს: რა მოგველის მომავალში, თუ მართლა საზოგადოებრივი მაჯის ცემა ჩვენში სრულებით შეწყდარა.

მაგრამ კმარა ამაზედ ლაპარაკი. ეს ხომ განმეორებაა ათასჯერ თქმულისა, ეგ ხომ კედელზედ ცერცვის შეყრაა ჩვენში, სადაც, როგორაც სჩანს, ვერავითარი გოდება და მხილება ვერ გაიტანს მსხვილს ტყავს საზოგადოების ინდიფერენტიზმისას. მივუბრუნდეთ ისევ წარმოდგენას, რომელმაც საერთოდ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზედ.

ოთხშაბათს, 17 ნოემბერს, წარმოდგენილი იყო მესამე ახალი პიესა ამ სეზონში, «საქმის კაცი», დრამა 3 მოქ. ოქ. მირბოსი, პიესა, რომელშიაც ცოცხლად დახასიათებულია თანამედროვე ბურჟუაზიის აულაგმავი ბატონობა, კაპიტალის გამათახსირებელი და გამხრწნელი პარპაშობა დღევანდელს ბურჟუაზიულს საზოგადოებაში. პიესაში ასეთი წარმომადგენელი კაპიტალისა ისიდორ ლეშა (კ. მესხი) არის. მას ფულის გარეშე არა სწამსრა, მოქნილის ეშმაკობით გარეშემო გაბმული აქვს უჩინარი ბადე საზიზღარის ექსპლოატაციისა და დაუნდობლად ჰყლეფავს, აწამებს ყველას, ვინც კი ამ ბადეს მოჰხვედრია. გამდიდრების გულისათვის იგი არავითარ საშუალებას არ ერიდება და, როცა საჭიროა, ადამიანის სიცოცხლესაც არ იშურებს მისთვის. მისის ოჯახის წევრნი ერთნაირის საზომით არ ზომავენ ლეშას ამგვარ მოქმედებას. მეუღლე მისი (ნ. გაბუნია-ცაგარლისა) უსიტყვო არსებაა და და დამონებული ჰყავს ლეშას.

ამათი ვაჟი ქსავიე (კ. შათირიშვილი) სავსებით სარგებლობს მამის ჯიბით და, რამდენადაც პატივის მცემელია მამის ქონებისა, იმდენადვე უპატივ-ცემულოდ ეპყრობა თვითონ მამას, რომლის «წარსულიც» მას „სახელს უტეხს“.

ამისთანა ყალბს, მოშხამულს ოჯახურ ატმოსფერას ვერ ურიგდება მხოლოდ ქალიშვილი ლეშასი, ჟერმენ (ნ. ჩხეიძე), რომელსაც სულ სხვა ცხოვრება სწყურიან და რომელსაც თავისი სული და გული ლეშას მამულში მოსამსახურე ქიმიკოსის ლუსიენისათვის (დ. ჩარკვიანი) მიუკუთვნებია და აი, როცა ლეშა, ეს მართლაც და ლეში, დღევანდელის გახრწნილის ბურჟუაზიის ნაყოფი, თავის ექსპლოატაციის საგნად თავის ღვიძლ შვილსაც არ ინდობს და ჟერმენის ბედს მარკიზ დე-პორსელეს (ვ. გუნია) გვარიშვილობაზე გაყიდვით გადასწყვეტს, ჟერმენი წინააღუდგება მამის გაღვიძებულ მადას და ლუსიენთან ერთად სტოვებს, უკეთესის ცხოვრების მოსაძებნად, მამის სახლს, რომელსაც იმავე დროს მეორე უბედურებაც დაატყდება თავს—ქსავიე ავტომობილიდან გადმოვარდება და კვდება.

პიესა მეტად შინაარსიანია და ცოცხლად დაწერილიც.

მოთამაშეთაგან პირველად, რასაკვირველია, აღსანიშნავია ნ. ჩხეიძე; ყოველს მისგან ნათამაშევს როლს ბუნებრიობისა ძ მოფიქრებით გაპიროვნების ბეჭედი აზის ხოლმე. დრამატიული მომენტები მსახიობ-ქალის თამაშობის დროს მთელი ამბავია ტანჯვისა ძ სევდისა, რომელიც მსმენელის სულსა და გულს საოცარის სისწრაფით გადაეცემა. მაგრამ თუ რეჟისორს სურს, რომ მსახიობ-ქალს ხელი არ შეუშალოს და მის თამაშობას ელფერი არ დაუკარგოს, შეუფერებელი „პარტნიორი“ არ უნდა მიუჩინოს, უნდა ერიდოს შთაბეჭდილების ორად გაყოფას: დრამატიულს კომიკური არ შეუფარდოს და კომიკურს —დრამატიული. ჩვენი პატივცემული მსახიობი-ქალი ნ. გაბუნია-ცაგარლისა შეუფერებლად იყო გამოყვანილი ლეშას მეუღლის როლში და ამით აიხსნება, რომ მესამე მოქმედებამ შესაფერის დრამატიზმით ვერ ჩაიარა.

კ. მესხი, რომლის თამაშობასაც ჩვენ კვლავ ლხვეუზუუნდებით, როცა პიესა განმეორებული იქნება, საერთოდ კარგი ლეშა იყო და როლიც, ეტყობოდა, კარგად გაეგო, ზოგიერთ ადგილების გარდა, სადაც სიცილი არ უნდა გამოეწვია მსახიობის თამაშობას. საწყალ ჟერმენის, როგორც დედა, ისე გულის მეგობარიც მოისუსტებდა. დ. ჩარკვიანს, თუმცა საუცხოვო გარეგნობა აქვს, სულიერ მდგომარეობის გამოჩენის უნარი აკლია. მსახიობს არა აქვს განვითარებული მიმიკა, მიხვრა-მოხვრა და სცენაზე თავის დაჭერა ერთ-ფეროვანი და სიცოცხლეს მოკლებული აქვს, და თუ არ ეს ნაკლი, იგი კარგი მსახიობი იქნება.

დანარჩენებიც—სვიმონიძე (ფინკი), შალიკაშვილი (გრუგი) და სხვანი ხელს უწყობდნენ ანსამბლს.

შათირიშვილი, როგორც ყოველთვის, ეხლაც კარგი იყო ქსავიეს როლში.

ვოდევილმა «საღამოს ერთი ცხვირი ხეირია» მხიარულად ჩაიარა ვ. აბაშიძისა, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. ჯავახიშვილისა და იორდანაშვილის კარგის თამაშობის მეოხებით.

# წერილი

## რედაქციის მიმართ

«ივერიის» № 246-ში დასტამბულია კორესპონდენცია «უსუფ-აღასი» ოზურგეთიდან.

„უსუფ-აღამ“ ცოტა არ იყოს, გადასხვაფერებულად მოიყვანა ჩემი ნათქვამი. კორესპონდენტს ისე აქვს ნათქვამი, ვითომ მე წინააღმდეგი ვიყო სოფლად ვაჭრობისა, ნოქრების დასვენებისა კვირაუქმე დღეს და სხ., ნამდვილად კი ასე არ იყო.

ბ-ნმა გუბერნატორმა კეთილ ინება და 21 ოკდომბერს ქალაქის თვით მმართველობაში სხდომას დაესწრო. შემოსვლისთანავე იკითხა: «რა არის იმის მიზეზი, რომ ქალაქი ასე გაღარიბებულია? მომახსენეთო», მოახსენეს, ვის როგორი შეხედულობა ჰქონდა და, სხვათა შორის, მეც დავასახელე ერთი უმთავრესი მიზეზი ოზურგეთის ასეთის გაღარიბებისა; სადგურ ნატანებიდგან დაბა ჩოხატაურამდე 40 ვერსია და ასე მცირე მანძილზედ რამდენიმე დაბაა, თითოეული დაბა თითქმის ოზურგეთის ქალაქს უდრის; დავასახელე თითოეულად და დავუმატე, რომ ყველა სოფელში, არა თუ თითო-ოროლა (როგორც «უსუფ-აღა» ბრძანებს), ათ-ათი და მეტიც დიდრონი სავაჭრო მაღაზიებია ქვითკირისა ყოველგვარ საქონლით, ასე რომ ოზურგეთში იქნება მხოლოდ 10% ვაჭრებისა და დანარჩენი 90% გაფანტულია ასეთ მცირე მანძილზე, რაც დიდათ აბრკოლებს ოზურგეთის ქალაქის წინსვლას ეკონომიურის მხრით-მეთქი. მოისმინა რა ეს ბ-მა გუბერნატორმა, კიდევაც გაიმეორა, ბევრია ნატანებიდან ჩოხატაურამდე დუქნები და ვაჭრებიო და, რა თქმა უნდა, სოფლებშიაც, ასე მცირე მანძილზეო. მაგრამ რა გაეწყობა, ყველას შეუძლია ივაჭროს თვის სურვილის დაგვარადაო.

ოზურგეთში დუქნების დაკეტვის შესახებ მე ვსთქვი: ჩვენის ქალაქის თვითმმართველობას არა აქვს უფლება დუქნების დაკეტვა-გაღების გაწესრიგებისა და მხოლოდ ბ-ნ გუბერნატორის განკარგულებით ხელმძღვანელობს - მეთქი ქალაქი; ამ ჟამად დუქნები ერთობ უხერხულ დროს იკეტება, არა თუ ვაჭრებისათვის, სოფლელებისთვისაც კი. აი, მაგალითად, კვირაობით 12 საათამდის დაკეტილია და, ვისაც ადრე უნდა ქალაქში შემოვიდეს და საქმე გააკეთოს, იმათ აგვიანდებათ. ზოგიერთი არ უცდის 12 საათს, მიდის სახლში და ესტუმრება სოფლის დუქნებს, სადაც, ჩემის ფიქრით, ცოტათი მაინც მეტს გადაიხდის, ვიდრე ქალაქში. 12 საათიდგან 4 საათამდის იღება და 4-ზე კი იკეტება ისევ. ამ რიგათ, ველარც დაგვიანებული სოფლიდან მოსული მოვაჭრე შეხვდება მაღაზიებს ღიას და ისიც უკან მიდის. ამიტომ, დიაღ, ვსთხოვე გუბერნატორს, 4 საათის ნაცვლად 5—6 საათზე დაიკეტოს ოზურგეთში დუქნები და სოფლელი ამ წესით უფრო ისარგებლებს და არც მოსამსახურეებს შეაწუხებდა მეთქი. ბ-ნმა გუბერნატორმა ბრძანა: მართალია, ყველა მოსამსახურეს მოსვენება უნდაო, მაგრამ მცირედს შეცვლას დაგვპირდა.

მე ესე ყოველივე იმიტომ კი არა ვსთქვი, როგორც «აღა-უსუფი» ბრძანებს, რომ «ოზურგეთის ვაჭრები გავმდიდრდეთ და სხვა «ქვა-ქვაზედაც ნუ დარჩენილა».—მე აღვნიშნე ზემოთ თქმული მიზეზად ოზურგეთის ქალაქის ასე მატერიალურად დაცემისა და გაღარიბებისა, რაშიაც, ჩემის შეხედულობით, არ უნდა ვსცდებოდე.

ყველა მოღვაწე და მწერალი ვალდებულია აღიაროს პირუთვნელად სინამდვილე და ამხილოს შეცდომები, მაგრამ კი არ უნდა ამახინჯებდეს პატიოსან აზრს, მართლ-მსჯელობას ადამიანისას და ჩირქს არ უნდა სცხებდეს ვისმე და შესაძლებელ ეგოისტათ არ უნდა გამოჰყავდეს უდანაშაულო კაცი. მე ოზურგეთში და სხვაგანაც ბევრი პატიოსანი კაცი მიცნობს და არა მგონია, დაეთანხმონ ბ-ნ უსუფ-აღას, რომელმაც ასე წარმადგინა ჩემი კარგს ნაცნობთა წინაშე.

ოზურგეთის ქალაქის რწმუნებული დომენტი შავიშვილი.

## „ივერიის ფოსტა“

**ბუჯბუტს.** თქვენი თარგმანი „ქალების ფანტაზია“ არ დაიბეჭდება.

**ილია ბახტაძეს.** თქვენი წერილი იუბილეის შესახებ არ დაიბეჭდება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

## დილის დეპეშები.

17 ნოემბერი.

**მუკდენი**, 17 ნოემბ. (საკ. კორესპ.). იაპონელები უკან იწევენ ცანჩანისაკენ. ცინხენჩენსა და სინძინტინს შუა მანძილი დაცლილია. უცხოელთა ქსენონები ხელს უმართავენ იაპონელთ, რომ თავიანთი მრავალნი დაჭრილნი და ავადმყოფნი ცალკე მოათავსონ.

**ლონდონი**, 17 ნოემ. (რეიტ.). ინდოეთის საქმეთა სამინისტროში მნიშვნელობას არ აძლევენ იმ ცნობას, რომელიც ბალხის გუბერნატორისაგან მოსულია ავღანისტანის ემირსა, რომ რუსებს დიდი-ძალი ჯარები მიუყვიდათ ხასირბანდარსაო. მაგრამ ჰგონებენ-კი, რომ შესაძლოა იქ მოვიდა მხოლოდ მაშველი ჯარი რუსებისაო. თუ ასეა, ამ მოკლე ხანში ოფიციალურად გამოცხადდება ეს ამბავი.

**ვენა**, 16 ნოემბ. გოლუხოვსკი ეწვაასა ინგლისის ელჩსა და რუსთა საელჩოს ვეზირსა და სთქვა, რომ ავსტრიის იმპერატორი მზადაა, თუ საჭირო იქნება, მეხუთე წევრი დანიშნოს ჩრდილო ზღვის ინციდენტის კომისიაშიო.

**კაპშტადტი**, 16 ნოემბ. (რეიტ.). მოვიდა გემი და მოასვენეს ცხედარი განსვენებულის პრეზიდენტის კრიუგერისა. ცხედარს საგანგებო მატარებლით წაასვენებენ 24 ნოემბერს პრეტორიას.

**კალკუტა**, 17 ნოემბ. (რეიტ.). ინგლისის მისსია, ქაბულში სამყოფელად დანიშნული, 16 ნოემბერს დაკუს მოვიდა. მისიას დაუხვდება ავღანთა ცხენოსანი ჯარი—200 კაცი.

**კრონშტადტი**, 17 ნოემბ. სანავოსნო სეზონი გათავდა.

**ყაზანი**, 17 ნოემბ. ძმათა კრესტოვნიკოვთა სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის მმართველობამ გადასწყვიტა, სრული ჯამაგირი აძლიოს იმ თვისთა მოხელეთა ოჯახებს, რომელნიც ომში იქნენ გაწვეულნი.

**პარიჟი**, 17 ნოემბ. (ვოლფი). ფიგარო»-ში დაბეჭდილია წერილი ჰოლანდიელის ინჟენერის კოიაასი, რომელიც სატრანსპორტო გემ «კამჩატკაში» მჯდარა ჩრდილო ზღვაზედ მომხდარ ინციდენტის დროს. ინჟინერი ამბობს, რომ ღამე ოთხი გემი გაჩნდა, ძალიან მსწრაფლ მავალი, პირდაპირ რუსთა ესკადრისაკენ გაემართნენ და მაშინაც არ გაბრუნდნენ უკან, როცა შესაშინებლად ესროლეს ზარბაზანი და მერე ნამდვილად დაუშინეს ყუმბარებიო. ორი იმ გემთა შორის სწორედ იაპონელთა ნაღმოსნები იყვნენო.

18 ნოემბერი.

**ჩიფუ**, 16 ნოემბ. (რეიტ.) ერთი ჩინელი, რომელიც 15 ნოემბერს წამოსულა დალნიდან, ამბობს, რომ ბრძოლა ჯერ კიდევ გაცხარებითა სწარმოებს. მესმოდა ზარბაზნების გრიალი 16 ნოემბერსაც.

ჩინელმა დასძინა, რომ ვშველოდი იაპონელთ დაჭრილთა გადაყვანაში და პირადად მე დავთვალე 1000 კაცი დაჭრილიო. იაპონელნი ვერ არიან კარგს გუნებაზედ, დაღონება ეტყობათ.

**ტოკიო**, 17 ნოემბ. (რეიტერი). ამბობენ, რომ იაპონელებმა აიღეს იერიშით და დაიპყრეს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი გორისა, რომელსაც 203 მეტრი, აქვს სიმაღლე.

**ლონდონი**, 17 ნოემბ. «რეიტერის სააგ.»-ს კორესპოდენტი, რომელიც ოკუს ლაშქარშია, იუწყება, რომ ორისავე ლაშქრის მდგომარეობა კვლავ უცვლელია. დიდი ბრძოლა არა მომხდარა-რა. პატარ-პატარა ბრძოლაა მოწინავეთა და მზვერავთა. რუსნი ხან და ხან ისვრიან ზარბაზნებს, მაგრამ არც რუსებსა და არც იაპონელებს არ ეტყობათ, თუ სატევ ბრძოლის დაწყებას ეპირებიან. იაპონიის ჯარებს სიცივე არ აწუხებს.

**რომი**, 17 ნოემბერი («სტეფანის სააგენტო»). პარლამენტმა დაიწყო მუშაობა. მეფემ სეფე-სიტყვა წარმოსთქვა და გარეშე პოლიტიკასაც შეეხო. მშვიდობა უზრუნველ-ყოფილია მით, რომ კავშირი და გულწრფელი მეგობრობა გვაქვს დიდ სახელმწიფოებთან, რაიცა დამტკიცდა გერმანიის იმპერატორისა, ინგლისის მეფისა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რომში ყოფნითაო.

**ხოტინი**. საერობო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ არ შეიწყნარა თხოვნა ხოტინის ერობისა, 120,000 მანათს ვისესხებთ სასურსათო თანხიდან იმ ჯარის კაცთა ოჯახების დასახმარებლად, რომელნიც სალაშქროდ არიან წასულნიო.

**სოფია**, 17 მოემბ. (ოპოზიციის მომხრეთაგან). ბულგარიისა და ოსმალეთის მთავრობის ურთიერთობა იღრუბლება, რადგან ოსმალეთს არ უნდა აასრულოს ის ვალდებულება, რომელიც იკისრა მორიგების ძალით. მთავრობის მომხრე უმრავლესობამ მოისმინა ლაპარაკი სამხედრო მინისტრისა, რომელიც თხოულობს ფულის გადადებას ახალ სამხედრო საჭიროებათათვის. ეს საგანი კრებას წარედგინება გადასაწყვეტად.

**პეტერბურგი**. ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა, გადასდოს 100,000 მან. პორტ-არტურის გმირთა და მათ სახლობათა სასარგებლოდ და ითხოვოს ნება-რთვა, რომ ხელის-მოწერა გაიმართოს ყველგან რუსეთში ამავე აზრით ფულის მოსაგროვებლად.

### საღამოს დეპეშები

18 ნოემბერი.

**პეტერბურგი**. ზანგეზურისა და ჯიბრაილის მაზრები, ელისავეტპოლის გუბერნიაში, ხოლერის მხრივ კეთილ-საიმედო მდგომარეობაში არ არიანო.

**მუკდენი**, 17 ნოემბერი. (საკ. კორ.). როგორც ეტყობა, იაპონელნი სამხრეთ-აღმოსავლეთად იხევენ. თუმცა თხრილები კარგად არის მოწყობილი, თბილი ტანისამოსიც აქვთ, მაგრამ ჯარის კაცნი მაინც სიცივისაგან ძალიან ჰხდებიან ავადა. რუსის ჯარების სანიტარული მდგომარეობა კარგს ყოფაშია. ყოველივე სალაშქროთ უზრუნველ-ყოფილ არიან დიდის ხნობით.

**ტოკიო**, 17 ნოემბერი. (რეიტერი). სეფე სიტყვაში, რომელთაც მიკადომ დღეს პარლამენტის გახსნა; სთქვა: «ჩვენ ვაუწყებთ პალატის წევრთ, რომ, ჩვენდა სასიამოვნოდ, ჩვენი დამოკიდებულება სანეიტრალო და მოკავშირე სახელმწიფოებთან თან და თან უფრო მეგობრული ჰხდება. ჩვენ მივანდეთ ჩვენს მინისტრებს, წარმოუდგინონ პალატას გეგმა, თუ როგორ დავფაროთ სამხედრო ხარჯები, ამასთანავე წარუდგინონ ნუსხა და სხვა კანონ-პროექტები. ბრძოლის ველზე ჩვენი ჯარები ძლევა-მოსილობით იბრძოდენ ყველგან და მრავალჯერ დაამტკიცეს თვისი ვაჟკაცობა. სამხედრო საქმე ჩვენთვის თან და თან უფრო საკეთილოდ მიდიოდა. ჩვენ იმედი გვაქვს, ჩვენის ქვეშევრდომთა თავგანწირულების შემწეობით საქმე ბოლომდე და საკეთილოდ გათავდება. ჩვენ მოგიწოდეთ თქვენ რათა შეასრულოთ თქვენი მოვალეობანი და ერთხელად ხელი მოუმართოთ ჩვენს განზრახვებსა და სურვილებსა.

**ბელგრადი**, 17 ნოემბერი (საკ. კორესპ.), მინისტრები ბოგიჩევიჩი, ტოდოროვიჩი და დავიდოვიჩი სამსახურს დაეთხოვნენ.

**ვაშინგტონი**. (რეიტერი). რუზველტმა გამოუცხადა კონტრ-ადმირალ ჩარლს გეკორ დევისსა, რომ ის იქნება წევრად საგამომძიებლო კომისიისა ჩრდილოეთის ზღვაში მომხდარ ინციდენტის გამო.

**ჩიფუ**. (რეიტერი), გუშინ საღამოს 11 საათზე იაპონელებმა ხელახლა გააფთრებული იერიში მიიტანეს პორტ არტურზე. როგორც იუწყებიან, იერიში ერლუნშანის და 203 მეტრის სიმაღლის გორაკისა ერთობ თავგანწირული იყოო, რამდენჯერმე ხიშტზე მიდგა საქმე. ზარალი ერთობ დიდია, იაპონელთა სანდო წყაროებიდგან იუწყებიან, იაპონელებს ალყის დაწყობიდგან მოუკლეს 25 ათასი კაციო.

**ტოკიო**, 17 ნოემბ. (რეიტერი), იაპონელების მთავარ ბანაკიდან იუწყებიან, რომ ის რაზმი, რომელსაც 203 მეტრიან ფორტზე იერიში მიაქვს, ეხლაც წინ იწევს. დილის 10 საათზედ იაპონელებს ამ გორის მწვერვალი და თხრილები უკვე აღებული ჰქონდათ. ეხლა იაპონელები ფორტის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილის აღებას ცდილობენ. ბრძოლა ჯერ არ გათავებულა. საღამოს 7 საათზედ ჯერ კიდევ გაცხარებული ბრძოლა იყო.

**ტოკიო**, 18 ნოებ. (რეიტერი). იაპონელებმა აიღეს გორა 203 მეტრის სიმაღლისა და ეხლა ამ გორაზე ფეხს იკიდებენ.

**შანჰაი**, 16 ნოემბ. (რეიტერი). შანჰაიში დააბინავეს ათასამდე რუსი. ბევრი მათგანი ნებართვით მიჩემებულ ადგილიდან მიდის, რაიც პოლიციას საქმეს უხლართავს. აქ ამბობენ, სჯობდა რუსები ისევ რუსეთში გაეგზავნათო.

**ლონდონი**, 18 ნოემბ. (რეიტერი.) მთავრობა სერიოზულად არჩევს იაპონიის მთავრობის მიერ წარდგენილს შეკითხვას, სადაც ნათქვამია, რომ ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრას ინგლისის გემებმა ნახშირი მიაწოდესო. მიღებულია განსაკუთრებითი საშუალებანი საქმის გასარჩევად და ისეთ საქციელების წინააღმდეგ, რომელთაც მომავალში ნეიტრალიტეტის დარღვევა შეუძლიან.

**ვაშინგტონი**, 17 ნოემბერი. (რეიტ.). კონტრ-ადმირალმა დევისმა გულის ამბის გამოსაკვლევად დანიშნულ კომისიის წევრობაზე თანხმობა განაცხადა.

**მუკდენი**. 17 ნოემბერი. პუტილოვის გორის აღების დროს პოდპოლკოვნიკი ბიკოვი მსროლელთა მე-36 პოლკს უფროსობდა. ამ პოლკმა იაპონელებს ზურგიდგან მოუარა და ამით სხვა ჯარს გორის აღება გაუადვილა. ბიკოვი წმ. გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენზე წარადგინეს.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

19 ნოემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . | 93,65 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | 45,87½ |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94,40 |
| ბერლინში ,, . . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში . . ,, . . . . . . . | 37,52½ |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | 92⅛ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | 89⅜ მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 428 ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . | 322½ წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 272½ წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . | 91 წ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 87¼ ნ. გაყ. |

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

ამ წლის 15 ოკდომრიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

#### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს**: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 21 წ. (6 ს. 19. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბათუმს**: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.). 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

**ერევანსა და ყარსს**: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

**ბორჯომს**: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

#### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან**: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); საქ. და სამგზ. № 17 საღამოს 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

**ბათუმიდან**: საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

**ერევან-ყარსიდან**: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდან**: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

#### ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

#### გ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

#### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

---

### სახალხო ბიბლიოთეკები.

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა».

#### ტ ფ ი ლ ი ს შ ი:

1) სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში. ღია არის
დილის 10—2 საათ.
საღამ. 5—7 „
კვირა-უქმეს—დილ. 11—1 „
2) ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131. ღია არის
დილით 10—2 საათ.
საღამ. 5—9 „
3) ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19
ღია არის დილით 10—2 საათ.
საღამ. 5—8 „

---


## განცხადებანი



რ ო ი ა ი ლ ე ბ ი პ ი ა ნ ი ნ ო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პ რ ე ი ს კ უ რ ა ნ ტ ე ბ ი

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.

**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**
**Б. М. МИРИМАНIАНЪ**
Тифлисъ, Дворцовая ул.
(25—6—21)

---

# სამკერვალო
## ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობ ქალთა ტანისამოსს

## შ ე ს ა კ ე რ ა დ

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

**ანა მერკვილაძისა.**

---

პირველად ქართულს ენაზე

ყველასათვის **საჭირო** და **სასარგებლო** წიგნი

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

რომელშიაც შეკრებილი და განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასთვის გასაგები ენითა და მაგალითებით, რუსულის და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონების, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ. წიგნს დართულ აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. «**უცხო ანდაზები და წინადადებანი**», რომელიც არა ერთ გზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს მხოლოდ ერთი მან., ჩვეულებრივის ყდით 1 მ. და 15 კაპ., საუცხოვო (ოქროს ვარაყიან ასოებით დაბეჭდილი) კალენკორის ყდით მანეთ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 20 კაპ.; წიგნი ფას-დადებითაც (съ налож. пл.) შეიძლება გაიწეროს. უმთავრესი საწყობია ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში. ადრესი: Тифлисъ. Книжная торговля, Іос. Зах. Имедашвили. (10—6)

---

| **За годъ** съ пересылкой **6 р.** | ОТКРЫТА **на 1905 г.** ПОДПИСКА на еженедѣльн. иллюстриров. журналъ и газету (27-й годъ издан.) **„РОДИНА“** (27-й годъ издан.) | **РАЗСРОЧКА** допускается при подпискѣ **2 р.** |
|---|---|---|

Каждый подписчикъ получитъ въ теченіе года:

**52** №№ иллюстрир. литер. **ЖУРНАЛА** **52** №№ полит. и обществ. **ГАЗЕТЫ** **52** № иллюстр. „Всемірное Обозрѣніе“ **52** № иллюстрир. „РАЗВЛЕЧЕН. въ часы отд.“

**48 КНИГЪ** 1) 12 книгъ **РОМАНОВЪ РУССКИХЪ ПИСАТЕЛЕЙ** 2) 12 книгъ **СОБРАНІЯ СОЧИНЕНІЙ Осипа ШУБИНА** 3) 12 книгъ содерж. статьи по научн. вопрос. и свѣд. для практ. жизни библіот. **„ЗНАНІЕ и ПОЛЬЗА“** 4) 12 книгъ, назыв. **„ОБЩЕПОЛЕЗНАЯ БИБЛІОТЕКА“**: 12 руководствъ для самообразованія

**Безплатныя приложенія:** 12 № „Другъ дѣтей“, 12 № МОДНАГО журнала, 12 № лист. выкроекъ, 12 № лист. рисунковъ для любительск. раб., 12 № лист. узоровъ въ краск., **ТАБЕЛЬ КАЛЕНДАРЬ** и **КАЛЕНДАРЬ-справочникъ на 1905 г.**

большая ОЛЕОГРАФІЯ съ картины **„ЗА ЧЕСТЬ и СЛАВУ РОССІИ“** | большая ГРАВЮРА въ тонахъ **„НА ВОЙНУ въ 1877 г“.**

Подробная программа безплатно. — „РОДИНА“, С.-Петербургъ, Лиговская, д. 114.

4—6—4

---

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „**ცოდნა**“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . . | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . . | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.
(40—40). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

---

### მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი
# სტამბა
### ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული-ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომია.


Дозволено цензурою Тифлисъ, 18 ноября, 1904 г.
Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи.